დანართი N1

2014 წლის 13 იანვარს გაფორმებულ

ს და ს N1-14 (CMR 140017729) ხელშეკრულებაზე

თბილისი 17. 12. 2014 წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება _ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის **სალომე იობიძის** სახით, შემდგომში დამკვეთი, ერთი მხრივ და **შპს „საქართველოს ფოსტა“**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ლევან ჩიკვაიძის** სახით, შემდგომში შემსრულებელი, მეორე მხრივ, დამკვეთი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – აპარატის 2014 წლის 16 დეკემბრის №8414–2 მოხსენებითი ბარათის და ხელშეკრულების მე–10 მუხლის 10.1 და 10.2 პუნქტების საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება საფოსტო/საკურიერო მომსახურების გაწევის შესახებ ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთის ქვეყნებში (ჩვეულებრივი ავია და დაჩქარებული ფოსტა EMS), აგრეთვე საფოსტო მომსახურების გაწევისათვის დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის ღირებულების გადახდის თაობაზე თანდართული ტარიფების შესაბამისად, მხარეთა შორის 2014 წლის 13 იანვარს გაფორმებული ს და ს N1-14 ხელშეკრულების მე–4 მუხლში, სადაც მითითებულია ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი და 4.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 13 200 (ცამეტი ათას ორასი) ლარს დღგ–ს ჩათვლით“.

2. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

3. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

4. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი სალომე იობიძე	მიმწოდებელი შპს `საქართველოს ფოსტა“ გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე